საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასპიები

კასპიები, (ბერძნ. Kaspioi, ლათ. Caspii), იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები, ცხოვრობდნენ აღმ. აზერბაიჯანის სტეპებში. პირველად იხსენიებს ჰეროდოტე ძვ. წ. V ს-ში. მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. I ს-ში) შეერივნენ მიდიელებს, ალბანელებს და სხვა ტომებს. მათი სახელი ეწოდა კასპიის ზღვას და ძვ. აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქს – კასპიანეს.

არსებობს მოსაზრება, რომ კ. მიეკუთვნებიან ინდოევროპულამდელ ტომებს. კ-ის შესახებ ცნობები შემონახულია ანტ. წყაროებში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ.,1970; С в а н и д з е А., Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937.